საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ინაშვილი ნიკო

ინაშვილი ნიკო (გ. 6. XI. 1870, თბილისი), პუბლიცისტი და პედაგოგი.

დაამთავრა თბილ. სას. სემინარია. ერთხანს თბილისშივე ასწავლიდა ქართ. ენას ფავრის პანსიონში, შემდეგ ჩაირიცხა კიევის უნ-ტში, საიდანაც პეტერბურგის უნ-ტში გადავიდა, მაგრამ უკვე ტუბერკულოზით იყო დაავადებული და სტუდენტობის წლებშივე გარდაიცვალა.

ი. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნ. „მნათობთან". ჟურნალის პირველივე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „საჭიროა თუ არა ქართული რიგიანი ჟურნალი?" (1869, მარტი) ი-მა დაასაბუთა ეროვნ. ჟურნალისტიკის დიდი მნიშვნელობა საერთო-ნაციონალური თვითშეგნების ჩამოყალიბება-განმტკიცებისათვის, საზ-ბის ცხოვრებისა და აზრის ჰუმანიზაციის, ხალხის „გონებითი, ზნეობითი და ნივთიერი წარმატებებისათვის". თარგმნა ინგლ. ფილოსოფოსისა და ეკონომისტის, ჯ. ს. მილის „ქალების განთავისუფლება" („მნათობი", 1869, მაისი–აგვისტო), თარგმანის წინასიტყვაობასა და კომენტარებში ი-მა საქართველოში პირველთაგანმა წამოჭრა ე. წ. „ქალთა საკითხი" (ქალთა ემანსიპაციის პრობლემა).

თხზ.: ზნეობათა გონებითი და ესთეტიკური გახსნა, «დროება», 1868, NN36–39.

ლიტ.: ნ ი კ ო ლ ა ძ ე ნ., თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1960; ხ უ ნ დ ა ძ ე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. 1, ტფ., 1927; ჯ ო რ ჯ ა ძ ე ა., წერილები, თბ., 1989.

თ. ჯოლოგუა